გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N1 (9217) 11 იანვარი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

მზეო სიმართლისაო, უფალო, დიდება შენდა!

5

წლობით ნაგროვები დამსახურების სანაცვლოდ

3

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

როგორი იყო 2016 წელი

სასწავლო წლის თარიღების განსაზღვრა

6

პირველი სხდომა ახალი წლის დადგომის შემდეგ

2

რაზე ვდაობთ, აი ვერ გავიგე!

“ყვავილას, ყვავილას, ყვავილას, სიხარულო ყვავილას”

დილა არის ახალი წლის

ყრილობა არალეგიტიმური იქნება?

2

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

პირველი სხდომა ახალი წლის დაღამოის შემდეგ

რაზე ვდაობთ, აი ვერ გევიგე!

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს სხდომა ახალი წლის პირველივე დღეებში საკმაოდ საქმიანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხთა რიცხვი დიდი არ იყო, ხუთიდან ორი, ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების თემას ეხებოდა. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე დაწესებულ ახალ რეგულაციებზე საუბრობდა. პარლამენტის მიერ გასული წლის ბოლოს მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი წლიდან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება უნდა მოხდეს სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით და განისაზღვროს: თითოეულ სამორინე მაგიდაზე, 20 ათასი; თითოეულ სათამაშო აპარატზე, 2 ათასი; სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე, 250 ათასი; აზარტული ან მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე, 1500; თითოეულ კლუბის მაგიდაზე, 4 ათასი ლარით კვარტალში. თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე 10%-ით; ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20% -ით, ესეც კვარტლურად. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესებით.

საკრებულომ დაადგინა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი, ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 1კვ. მეტრზე 0,5; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე 1კვ. მეტრზე 0,4; სხვა ნაგებობებზე, მათ შორის კომერციულ და ხაზობრივ ნაგებობებზე, 1კვ. მეტრზე 1 ლარით განისაზღვროს. დაბისა და სოფლების ტერიტორიაზე კი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1კვ. მეტრზე 0,3; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე, 1 კვ. მეტრზე 0,4; სხვა ნაგებობებზე, მათ შორის კომერციული საქმიანობის და ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობაზე, 1კვ. მეტზე 1 ლარით.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ბანკის მეშვეობით და იგი მთლიანად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მის გადახდაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში ცვლილების სახით შევა, რომ ამიერიდან იმედა გოგავა არა ფრაქცია "რესპუბლიკელების", არამედ ფრაქცია "სამტრედიელი რეფორმატორების" თავმჯდომარე იქნება.

წლის პირველი სხდომა, განსახილველად გამოტანილმა რიგით მეხუთე საკითხმა აახმიანა. იგი მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის ასაღებ ნებართვას შეეხებოდა, რომლითაც მუნიციპალიტეტმა 3 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერი უნდა შეიძინოს. 13 კუბური მეტრის მოცულობის 1 ერთხიდიანი 1 ნაგავმზიდი და 7 კუბური მეტრის მოცულობის 1 ხიდიანი 2 ნაგავმზიდი მანქანა, სანაგვე კონტეინერებთან ერთად მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურისთვის აუცილებლად საჭირო ტექნიკაა. მის შეძენას დაეთანხმდნენ, თუმცა, სესხის პირობები კაბალურად შეაფასეს "ნაციონალებმა." ფრაქციის წარმომადგენელმა, მამუკა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ შემოთავაზებული პირობები აშკარად გადასახედია. მან დაასაბუთა საკუთარი მოსაზრება. გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, ნიკა სანაძემ განმარტა, რომ პირველივე შემოთავაზების შემდეგ, პირობები შეცვლილია და ამჯერადაც მიმდინარეობს რიგი საკითხების შეთანხმება. "რაზე ვდაობთ, აი ვერ გევიგე!" ეს ნაწილი გახლავთ სამტრედიელ "მოტივებზე" გაკეთებული კომენტარისა, რომელსაც თავიდან ბოლომდე შეგნებულად არ შემოგთავაზებთ, იმ იმედით, რომ იქნებ მეტ-ნაკლებად შევარბილოთ თუნდაც ამ ფრთიანი ფრაზის დაწერისთვის ჟურნალისტის მისამართით წამოსული აგრესია. რაც შეეხება სესხს, მისი პირობები ეჭვქვეშ ფრაქცია "სამტრედიელი რეფორმატორების" თავმჯდომარე, იმედა გოგავამაც დააყენა და შესაბამის სტრუქტურებს ყველა ნიუანსში ზედმიწევნით კარგად გარკვევისკენ მოუწოდა.

როგორც ხდება ხოლმე, ოპოზიციური ფრთის კომენტარები უადგილოდ და დაუსაბუთებლად ჩათავალა უმრავლესობამ. საკითხი მიღებული იქნა, მით უმეტეს, რომ სესხის პირობებზე მუშაობა კვლავ გრძელდება.

როგორი იყო 2016 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და შესყიდვების განყოფილება 2017 წლის გეგმაზე მუშაობს.

განყოფილების უფროსის განმარტებით, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის ჩამორიცხვის შემდეგ დაიწყება. ამ ეტაპზე ირაკლი სულავას რისი თქმაც შეუძლია ის არის, რომ პრიორიტეტი წელსაც გზების მშენებლობა იქნება.

შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსის ვარაუდით, ჩვენი ქალაქის მოსახლეობისთვის 2017 წელიც ისეთივე ეფექტური იქნება, როგორიც იყო 2016, ანუ გაგრძელდება სამტრედიის ინფრასტრუქტურისა და იერსახის მოწესრიგება. გაითვალისწინებენ ყველა მოქალაქის აზრს, რომელიც მუნიციპალიტეტში განცხადების სახით შემოვა, რის შემდეგაც დაიწყება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის პროცედურის ჩატარება. პასუხი კითხვაზე, როგორი იყო გასული 2016 წელი, "სამტრედიის მაცნემ" ირაკლი სულავასგან გაიგო.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების გეგმით 5 477 960 ლარი იყო გათვალისწინებული. აქედან ტენდერი გამოცხადდა 4 177 000 ლარზე. გამარტივებული შესყიდვა 1 300 000 ლარის ფარგლებში განხორციელდა.

გამოცხადებული ტენდერებიდან სამუშაოებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 3 965 131 ლარი შეადგინა. საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ 107 028 ლარი. ძირითადად დაიგო ქალაქისა და სოფლების ტერიტორიაზე ასფალტ-ბეტონის საფარი, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში აშენდა და მოეწყო ახალი მოსაცდელები, შემოიღობა საძოვრები და სასაფლაოები, გაიჭრა სანიაღვრე არხები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ამბულატორიის შენობებს, ასევე მოეწყო სტადიონები, შეძენილი იქნა სხვადასხვა მასალები სოფლების მოთხოვნების შესაბამისად. შესრულდა თემისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოები.

ირაკლი სულავამ, შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსმა, ეს მონაცემები 2016 წლის ბოლოს დააჯამა და გააკეთა დასკვნა, რომ "2016 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით ნამდვილად შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, რაც აისახა კიდეც ჩვენი რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ძირითადად ეს გამოხატულია მრავალსართულიანი სახლების გადახურვით, ქალაქში არსებული სკვერების მოწყობით, გზის საფარის დაგებით. მნიშვნელოვან პროექტად მიმაჩნია, მუნიციპალიტეტისთვის "გრეიდერის" შეძენა."

განყოფილება ამჟამად 2017 წლის გეგმაზე მუშაობს. ვინაიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტი დამოკიდებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღებ ტრანსფერზე, ელოდებიან მის ჩამორიცხვას, ის შემდგომაც შესყიდვების გეგმას საბოლოო სახე მიეცემა და დაიწყება კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები.

ნინო ნანიტაშვილი

ყრილობა არალეგიტიმური იქნება?

20 იანვარს ფართომასშტაბიანი ყრილობის ჩატარება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭომ დეკემბერში გადაწყვიტა.

ყრილობამ პარტიის ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა უნდა შეარჩიოს. მთავარი საკითხი კი, რამაც ყველაზე მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, პარტიის თავმჯდომარის არჩევაა.

სამტრედიიდან ყრილობაზე გასამგზავრებელი დელეგატები არჩეულია. სია წარდგენილია, 20 იანვარს სამტრედიიდან "ნაციონალების" ყრილობაზე 112 დელეგატი გაემგზავრება და არცერთ მათგანს ეჭვი არ ეპარება მის ლეგიტიმურობაში.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიის აღმასრულებელი მდივნის წერილი სამტრედიის რაიონულ ორგანიზაციაში 3 იანვარს მოვიდა. მიმართვაში სერგო რატიანი წერს, რომ თუ დელეგატების შერჩევის პროცესი პოლიტსაბჭოს მიერ არჩეული საგანგებო კომისიის დაკომპლექტების გარეშე გაგრძელდება, ყრილობა არალეგიტიმური იქნება.

პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოზიცია მიუღებელი დარჩა "ნაციონალების" უმრავლესობისთვის, როგორც სამტრედიაში, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

74 რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარიდან რატიანს მხარი მხოლოდ სამმა დაუჭირა. მათ შორის არ აღმოჩნდა ემზარ შუბლაძე. ამჟამად ბაკურიანში მყოფი პირველი სამტრედიელი "ნაციონალის", ემზარ შუბლაძის სათქმელი "სამტრედიის მაცნესთან" რაიონულ ოფისში გააკეთეს.

მამუკა ბიბილეიშვილი: "ზედმეტი აჟიოტაჟია ატეხილი. საგანგაშო არაფერი ხდება, რაც შეეხება ყრილობას, მის ლეგიტიმურობას საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ მხარს ვუჭერთ 20 იანვრის ღონისძიებას".

მამუკა ბიბილეიშვილის მსგავსად თემის ასე აჟიტირება ზედმეტად მიაჩნია ემზარ შუბლაძის მეორე მოადგილესაც. გივი ღაღანიძე თვლის, რომ ის, რაც პარტიის შიგნით ხდება, ჩვეულებრივი პროცესია, რომელიც შეიარაღებული ძალებისა ... ...

წლობით ნაგროვები დამსახურების სანაცვლოდ

თეა ბაბუნაშვილი

ჯერ ისევ არდამდგარი ახალი წელი დიდი სიხარულით არაერთ სამტრედიელს დაებედა. ეს მის შემობრძანებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მოხდა ქალაქში ახლადგახსნილ დარბაზ "კოლხში". მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ გამგეობის კულტურის სამსახურის და მისი ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის ორგანიზებით მოწყობილ ღონისძიებაზე ის წარმატებული სამტრედიელები დააჯილდოვა, 2016-ში რომ ასახელეს მშობლური სამტრედია. ისინიც არაერთი წელია, სახელსა და დიდებას საკუთარი შრომითა და რუდუნებით, ჩუმად ნაკეთები სიკეთით რომ "აგროვებენ" ამ პატარა რაიონისთვის.

მუსიკალური ნომრებით გაფორმებული ეს საღამო, მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ. იგი კულტურის სამსახურის წამყვან სპეციალისტს, ნათია გოგოძესა და ბექა თევზაძეს მიჰყავდათ. საახალწლოდ მორთულ დარბაზში წინასაახალწლო განწყობის შესაბამისი ატმოსფერო სუფევდა.

ალბათ იმიტომაც, რომ საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე აღინიშნა, საქართველოს ჩემპიონ საფეხბურთო კლუბთან გამართულ საზეიმო შეხვედრაზე მიუხედავად კლუბის წინაშე მათი დამსახურებისა, ოპოზიციური ფრთა მიწვეული არ იყო, ამჯერად ცალსახად ითქვა, რომ ოპოზიცია ღონისძიებაზე დაპატიჟებული გახლდათ. თუმცა, მათ ვერც ამჯერად შენიშნავდით დარბაზში. სამაგიეროდ, შეხვედრას გუბერნიიდან ჩამოსული სტუმრების გარეშე არ ჩაუვლია. გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძე და მისი თანმხლები პირებიც გამოხატავდნენ პატივისცემას წარმატებული სამტრედიელებისადმი.

წარმატებულები კი კომისიამ გამოავლინა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრები, გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, ამავე სამსახურის წამყვანი სპეციალისტი განათლების საკითხებში გურანდა გურგენიძე, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელია, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილი და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შალვა არზუმანიანი გახლდნენ.

2017 წლის საშობაო ეპისტოლე

“იშვა ყრმა, მოგვეცა ძე... და სახელი მისი”, _ ... ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნეთა” (ეს. 9,5).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, საერო დასნო, საყვარელნო დანო და ძმანო, მკვიდრნო საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

დღეს ბეთლემი “ცათა მობაძავ იქმნა, ვარსკვლავთა წილ ანგელოზნი ჰქონან მაქებელად და სამყაროს ეფინება საოცარი საგალობელი: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება”.

ყოველნო ერნო, “აღიპყრენით ხელნი თქვენნი და ღაღადებდით ღმრთისა მიმართ ხმითა სიხარულისათა, რამეთუ

ქრისტე იშვა და ევა მწუხარებისაგან იხსნა;

ქრისტე იშვა და ქუეყანა აღეშენა;

ქრისტე იშვა და ერი განმხიარულდა.” (შობის საგალობელი)

ღვთის განკაცების ამ დიად დღეს გავიხსენოთ კაცობრიობის თავდაპირველი ისტორიაც.

ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას, ედემში ღმერთთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და უფლისმიერი მადლით კიდევ უფრო წარემატებოდნენ. შემოქმედისაგან ისინი განმსჭვალულნი იყვნენ საოცარი სიყვარულით და ამ სიყვარულს თვითონაც გასცემდნენ, რაც თანხმობასა და ნეტარებაში მათ მკვიდრობას განაპირობებდა.

აკრძალული ნაყოფის მიღებამ არსებული სრულყოფილი ჰარმონიის რღვევა გამოიწვია რადგან, ეს არ იყო უბრალო ქმედება; იგი იყო გამოვლინება იმისა, რომ რეალურად ადამმა და ევამ უარი თქვეს საღვთო წესრიგზე, ბოროტი ძალისაგან შთაგონებულ ამპარტავნებას, პატივმოყვარეობასა და შურს დაემონნენ და კეთილისაგან უკეთურისაკენ მიიდრიკნენ. ასე შემოვიდა ცოდვა და ცოდვასთან ერთად სიკვდილი. ასე დაეცა ადამიანური ბუნება. ადამთან ერთად დაეცა მისი განმგებლობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი მთელი ხილული სამყარო. სულიწმინდის მადლი პირველმშობლებს განეშორა, რადგან აღარ ჰქონდათ მისი დატევნის უნარი; შედეგად კი დადგა ხორციელი და, რაც მთავარია, სულიერი სიკვდილი.

მადლისაგან განძარცვულ პირველმშობელთა ბუნება ხრწნას დაექვემდებარა, ამასთან, მათ დაეკარგათ ჭეშმარიტი თავისუფლების განცდა და დაუმახინჯდათ როგორც გარემოს, ისე ღმერთის აღქმა. გაუკუღმართებული აზროვნების გამო კი მათში გაბატონდა ხორციელი ცნობიერება.

სიკეთის მოკლებით გაჩენილ ცოდვათა ერთობლიობა არის ადამიანის ბუნების დაცემული მდგომარეობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი. ყოველივე ეს კი ათასწლეულების მანძილზე იმემკვიდრა კაცთა მოდგმამ.

მხოლოდშობილი ძე ღვთისა ოცი საუკუნის წინ მოევლინა სამყაროს. უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, დაუსაბამო დასაბამიერი გახდა, უხილავი ღმერთი ბაგაში მწოლ ჩვილ ყრმად წარუდგა სოფელს, რათა მარადიული სიკვდილისთვის განწირული ადამის მოდგმა თავისი თავის მსხვერპლად გაღებით გამოეხსნა და ცოდვათა აღხოცვით ჩვენთვის დაკარგული მადლისმიერი ძეობა დაებრუნებინა.

“ეჰა, დიდებული და საკვირველი საიდუმლო,

ეჰა, შესაძრწუნებელი სალხინებელი!” (შობის საგალობელი).

იესო ქრისტემ დაცემული კაცობრივი ბუნება თავის ღვთაებრივ პიროვნებაში შეურევნელად შეიერთა, განაახლა, სამების წიაღში ზეცად აიყვანა და საღმრთო დიდებით განაბრწყინა.

თუ პირველ მშობელთაგან მემკვიდრეობით მივიღეთ ხრწნილება და სიკვდილი, ახალ ადამში, ქრისტეში, ყოველმა ადამიანმა ცოდვისგან სრული გათავისუფლების მადლი მიიღო.

ამისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია, ყოვლადწმინდა სამებისადმი ჭეშმარიტი რწმენით ნათლობა, აღმსარებლობა იმისა, რომ იესო ქრისტე არის ბუნებითი ღმერთი, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, მხსნელი და მაცხოვარი სულთა ჩვენთა.

ნათლობა არის მეორე ადამის, ქრისტეს, წიაღში ჩვენი სულიერი შობა, რომლის დროსაც გვენიჭება სულიწმიდის ბეჭედი, ის ცხოველმყოფელი მადლი, რაც დავკარგეთ სამოთხეში და, ამასთან, გვენიჭება უნარი მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისა.

ახალი ადამის შობით კაცობრიობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ორ ნაწილად გაიყო და დაიწყო სრულიად ახალი ერა.

თუ პირველმა ადამმა და მისმა მოდგმამ ჩადენილი ცოდვის გამო, დიდი სინანულის მიუხედავად, ვერ შეძლო დანაშაულის გამოსყიდვა, ახალი ადამის განხორციელების შედეგად, მრავალჯერადი შეცოდების შემთხვევაშიც, ქრისტიანს, ვიდრე ხორციელ აღსასრულამდე, ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყოველთვის შეუძლია ნათლობით მიღებულ მადლთან და სულიერ მდგომარეობასთან დაბრუნება.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ნათლობა არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი განღმრთობისა. შემდგომი წინსვლა კი ჩვენი პირადი ღვაწლითა და ეკლესიური ცხოვრებით უნდა განხორციელდეს.

ქრისტეს შობა კაცობრიობისთვის უდიდესი დღესასწაულია, რასაც სრულად ვეზიარებით, როდესაც ნათლისღების გზით ახლად ვიშვებით ქრისტეში. ამიტომაც არის, რომ შობის დღესასწაულს უშუალოდ მოჰყვება ნათლისღების დღესასწაული, რომელიც განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული.

ნათლობით მიღებული მადლი არის უდიდესი საბოძვარი, რომელსაც სრულად ვერც ვაცნობიერებთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ძველი ადამიდან ახალი ადამის წიაღში მოქცეულებზე, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ რწმენის გზაზე და მათზეც, რომელნიც დიდი ხნის წინ მოინათლნენ, მაგრამ ცოდვის მრავალგვარობას ხშირად ვერ აცნობიერებენ, რამეთუ მხოლოდ პირადი შეხედულებებითა და ამქვეყნიური კანონებით განსჯიან.

აუცილებელი კი არის წმიდა წერილში გაცხადებული მცნებებისა და სწავლებების გათავისება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ავის და კარგის, ცოდვის და მადლის გარჩევა ვისწავლოთ.

საღვთო ზნეობა იმდენად მაღალია, რომ მას თვით ყველაზე დახვეწილი და რაციონალური სახელმწიფო კანონებიც კი ვერ შეედრება. სახელმწიფო კანონით დანაშაულად არ მიიჩნევა, მაგალითად, პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარება, განკითხვა, მრისხანება, შური, ამპარტავნება, ეგოიზმი, შიში, მტრობა, სიძულვილი... ვიდრე მათი გამოვლინებები სერიოზულად არ დააზარალებს სხვას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კი განგვიცხადა, რომ ცოდვად ითვლება არა მარტო არასწორი საქციელი, არამედ მოყვასის მიმართ სიყვარულისა და კეთილგანწყობის არქონა, უკეთური ფიქრიც და ბოროტი გულისთქმაც და მოგვიწოდა, რომ ნებისმიერი ცოდვა დასაწყისშივე, ანუ გონებასა და გულში გაჩენისთანავე აღმოვფხვრათ, რათა იგი ქმედებად არ იქცეს და მისგან თავის დაღწევა არ გაგვიძნელდეს.

როგორც საღვთო, ისე სახელმწიფო კანონები, რა თქმა უნდა, ზრუნავს ადამიანზე, მაგრამ მათში განსხვავებულობას წარმოშობს პიროვნების აღქმა და მასთან დაკავშირებული ხედვის პერსპექტივები. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ქვეყნებზე, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და მცდელობები აქვთ, ცოდვა ოფიციალურად ნებადართული გახადონ. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტელევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები... ამა თუ იმ უწესობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გვისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას. სამოთხეში დაწყებული ისტორია ცოდვის კეთილად წარმოჩენისა და შეთავაზებისა, გრძელდება; აკრძალული ნაყოფი ადამიანს კვლავაც მიმზიდველად ეჩვენება, ისევე, როგორც სამოთხეში: “იყო საჭმელად ის ხე თვალწარმტაცი და საამური სანახავად” (დაბ. 3,6).

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ მაშინ, როდესაც ამდენი ხანია ქრისტე ჩვენს განსაკურნებლად მოვიდა, დღესაც მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ურწმუნოების ცოდვაშია; ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჭეშმარიტ სარწმუნოებას ყოველ დროში მხოლოდ ჭეშმარიტი ღვთის ნების აღმსრულებელი ადამიანები ინარჩუნებდნენ. ეს რჩეული სამწყსო არის პიროვნულ მაღალ ღირებულებათა მაღიარებელი კრებული, იმ პირთა ერთობა, რომელთათვისაც ღმერთი მარტო ძალა კი არ არის, რომელიც ძველ აღთქმაში ზოგჯერ ცეცხლის, გრიგალის, ღრუბლის, მგრგვინავი ხმის სახით... ეცხადებოდა, არამედ ბეთლემს შობილი ემანუელი (რაც ნიშნავს: “ჩვენთან არს ღმერთი”), მეორე პირი ყოვლადწმინდა სამებისა, რომელმაც წინ სწორედ პიროვნული ღირსებები წამოსწია, დაგვანახა რა, რომ ნებისმიერი ჩვენგანი უნიკალურია, განუმეორებელია, ხატია უფლისა და სული წმინდის მადლით ღვთის მადლისმიერი ძეობის აღდგენა ძალუძს.

პიროვნება ასეთ სიმაღლეზე არასოდეს არავის აუყვანია!

მაცხოვარმა ჩვენმა ყველა ადამიანური ტკივილი, თვით ჯვარცმით სიკვდილიც, კაცობრივი ბუნებით ჭეშმარიტად განიცადა, რათა, მწუხარებაში მყოფ ნებისმიერ ჩვენგანს ჰყავდეს მისი სალმობის თანამოზიარე უფალი, რომელიც ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით აღავსებს ყველას.

დღეს ამ უჩვეულო სიხარულის დღეა; დღეს განსაკუთრებით ხარობენ ბავშვები, რადგან უფალი მათ მსგავსად ჩვილად მოევლინა სამყაროს; დღეს ხარობენ დედები, რადგან დედამ, _ ახალმა ევამ, ახალი ადამი, _ ღმერთი შვა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი განსაცდელისა და ათასგვარი ჭირ-ვარამისა, უფლის შეწევნითა და ღვთისმშობლის მეოხებით საქართველო კვლავაც ქრისტეს გზას ერთგულად მისდევს და შობის მახარობელია. ერთსულოვნებით განვძლიერდეთ ქართველნო, ოსნო, აფხაზნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, ასირიელნო, უდინნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, ქურთნო, ქისტნო, ლეკნო, ჩერქეზნო და ღვთითყურთხეული ჩვენი მიწის ყოველნო მკვიდრნო, უფალი ჩვენთან არის!

რა თქმა უნდა, მე ვიცი, როგორ უჭირს ჩვენს ხალხს, რამდენი განსაცდელითა და ტკივილითაა სავსე ეს წუთისოფელი, მაგრამ მწამს ისიც, რომ მიუხედავად მრავალი სიმძიმისა და დაბრკოლებისა, ჩვენი ერი ღირსეულად გაივლის გოლგოთის გზას და უფალთაგან ერთად აღდგება და გაიხარებს.

მამანო და დედანო, დანო და ძმანო, უხუცესნო და ყრმანო, უძლურნო და სნეულნო, საპყრობილესა და საავადმყოფოში მყოფნო, _ ქრისტე იშვა!

მწყემსნი და მოგვნი ღამის წყვდიადში ვარსკვლავის შუქზე მიიჩქარიან ბეთლემის გამოქვაბულისაკენ. დაე, ჩვენც, ანთებული სანთლებით, მათთან ერთად რწმენით მივეახლოთ ახლადშობილ ყრმას და ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად მივართვათ მონანული, მოსიყვარულე და მადლიერებით სავსე გული, რათა ჩვენშიც იშვას ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი!

ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა, ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი,
თბილისი,
2016/2017წ.

ნათლისღებას გილოცავთ!

წმინდა იოანე წინამორბედის მიერ სხვათა მსგავსად მდინარე იორდანეში ნათელ იღო 30 წლის იესო ქრისტემ.

როდესაც წყლიდან ამოვიდა და ლოცვად დადგა იგი, სულიწმინდა მტრედის სახით გადმოვიდა და თავს დაადგა.

გაისმა ზეცით: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ”. (ე.ი. მოვიწონე) ამ დღეს პირველად გამოგვეცხადა ერთარსება სამება, ძე ღმერთი ნათელს იღებს იორდანეში, სულიწმინდა ღმერთი მტრედის სახით გარდმოვიდა, მამა ღმერთი კი სიტყვით ადასტურებდა ქრისტეს ღვთაებას.

ორმოც დღეს ლოცულობდა და მარხულობდა იესო ქრისტე უდაბნოში. ნათლისღების შემდეგ ეშმაკი ცდილობდა მის ცდუნებას, თუმცა ქრისტემ სძლია მას, შემდეგ კი ქადაგება დაიწყო ხალხში.

ეკლესია მაცხოვრის ნათლისღებას და ღვთის განცხადებას (ძველი სტილით 6 იანვარს) ახლით კი 19 იანვარს აღნიშნავს.

იმ დღეს, როცა მაცხოვარი იორდანეში შევიდა წყალი იკურთხა, ამიტომაც იესო ქრისტეს ნათლისღებას წყალკურთხევასაც უწოდებენ.

უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ნათლისღებას აღნიშნავს ეკლესია 19 იანვარს, შესაბამისი მსახურება წარმოებს ამ დღეს ყველა მოქმედ ეკლესიაში.

გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

მზეო სიმართლისაო, უფალო, დიდება შენდა!

თეა ბაბუნაშვილი

საშობაოდ ანთებულმა სანთელმა კიდევ ერთი წელიწადი მოიტანა ქრისტეშობიდან 2017-ედ. სამყაროს შემოქმედის წყალობით, "ალილოთი" დაწყებული 6 იანვრის საღამო ქრისტეს შობად გაუთენდა მართლმადიდებლურ სამყაროს. კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილიამ მეორის წლების წინანდელი ინიციატივა, ქუჩაში "ალილოთი" მსვლელობისა, წელსაც შთამბეჭდავ სანახაობად იქცა.

უერთდებოდა და რა თქმა უნდა, წელსაც შეუერთდა სამტრედია დანარჩენ საქართველოს. თუმცა, აქვე ისიც, რომ მრევლის სიმრავლით ვერ გამოირჩეოდა წლევანდელი მსვლელობა. სადღესასწაულოდ დაცარიელებულ უქმეებში, ქუჩებში მოსახლეობა არ აქტიურობდა. სავარაუდოდ, შესაწირიც, სათნოების სახლისა და ქვრივ-ობოლთათვის რომ არის განკუთვნილი, შედარებით მცირე გახლდათ. თითქოს ნაკლები პომპეზურობით, თუმცა, ჩვეული მადლით სავსე შობა დღე, ისევ საქვეყნო, სახვალეო იმედის დამპურებლად გაუთენდა საქრისტიანოს.

სამტრედიის ქუჩებში გულწრფელი მოწიწებითა და უფლის ჭეშმარიტი სიყვარულით გალობდნენ 25 დეკემბერს ბეთლემს შობილი ქრისტეს საგალობელს. დავით აღმაშენებლის ტაძრის მრევლს, წელს ცოტა მოგვიანებით შეუერთდნენ მაცხოვრის შობის ტაძრის მომლოცველები. ბოლოს ტრადიციისამებრ დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარში ერთად შეიყარნენ და ახლა გუმბათს სწვდებოდა "იესო დაბადებულა, ალილო". მერე უფლის სახლში აგუგუნებულმა "მრავალჟამიერმა," თუნდაც ყველაზე დარდიანს და შეჭირვებულს, უფლის მადლით ხვალინდელი დღის გაცისკროვნების იმედი ჩაუსახა.

ქრისტეშობა სამტრედიელებს და სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის წინამძღოლმა, მამა ვახტანგმა მიულოცა: "მადლობა უფალს, რომ კიდევ ერთ შობა-ახალ წელს მოგვასწრო. რამდენი ადამიანი ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს. ხშირად უმადურები ვართ, რას გვაძლევს ღმერთიო. თუნდაც ის, რომ დღევანდელ დღეს მოვესწარით, მისი წყალობაა. იმ წელს, როცა ქრისტე დედამიწას მოევლინა, თურმე არც ერთი ომი არ ყოფილა. ღმერთმა ინებოს, წელსაც ასე ყოფილიყოს, მშვიდობა და დოვლათი მოეტანოს ამ ახალ წელიწადს."

მამა ანტონი ტრადიციულად მრევლთან ერთად უერთდებოდა პატრიარქის ამ ინიციატივას. უდიდესი დღესასწაული მანაც მიულოცა საქრისტიანოს: "ქრისტეს განკაცება ნიშნავს, რომ ღმერთი და ადამიანი შეერთდა, რომ ადამიანმა უდიდესი და უსაზღვრო შესაძლებლობები მიიღო. ეს არის ადამიანური ბუნების გამოსყიდვა. ქრისტეს განკაცებით მაცხოვარი მიანიშნებს, რომ ადამიანი ნებისმიერ ფორმაციაში მიღებულია ღვთისათვის. მას აქვს შესაძლებლობა ღმერთთან მიახლოვდეს და იცოცხლოს ღმერთის სიცოცხლით. უდიდესია ამ დღესასწაულის მადლი და ძალა. ვულოცავ მთელ საქართველოს, სამტრედიელებს. მრავალს დაესწარით!"

რაც შეეხება ბოლო დროს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს, მამა ანტონი აღნიშნავს: "ეს არახალია! ვინც ეკლესიის ისტორიას თუნდაც დილეტანტურ დონეზე იცნობს, იცის, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია. მას აქვს ორი ასპექტი, ადამიანური და ღვთაებრივი. ღვთაებრივი ასპექტი ყოველთვის ჰარმონიულია სამყაროსთან მიმართებაში, ხოლო ადამიანურს ანომალიები და პრობლემები შემოაქვს. სწორედ ეს არის დღევანდელი დაძაბული ვითარების გამოვლინება. თუმცა მჯერა, ეს მხარეები შეთანხმდებიან და ისევე როგორც დასაბამიდან დღემდე, ღვთიური ასპექტი მოაწესრიგებს ამ პრობლემებს. მოაწესრიგებს და ყველაფერი კარგად იქნება!"

"ალილო" უფლის ზეობად ეფინებოდა ქუჩებს. "შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისგან ისწავეს თაყუანის-ცემაი შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მადლით აღმოსავალად, უფალო, დიდება შენდა." – უკვე მერამდენედ იმეორებდა მრევლი ტროპარს. საკუთარ ხატად ქცეულ ადამიანს 2017-ე ქრისტეშობას კვლავ სათნოებას, სიყვარულსა და მიტევებას უქადაგებდა პირველ საუკუნეთა ღმერთი.

სამტრედიელი ექიმები ურჩევენ

"ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიას 10 იანვარს რკინიგზელმა თამაზ ნინუამ მიაშურა. ექიმ რუსუდან წილოსანთან ვიზიტამდე მან "სამტრედიის მაცნეს" კომენტარი მისცა, სადაც აღნიშნავდა, რომ ვირუსული ინფექციით დაავადებულს ახალი, 2017 წლის დადგომა არ უგრძვნია.

თამაზ ნინუა: "ისე შემოვიდა შობა-ახალი წელი, არ გამიგია. საშინელი ვირუსი მაქვს, რამდენიმე დღეა, სულს ვერ ვითქვამ. დამეწყო მსუბუქი გაციებით, ისე გამირთულდა მდგომარეობა, ვერც კი გავიგე. ხომ ხედავთ, სავსეა ამბულატორია პაციენტებით".

თუ 2016 წლის დეკემბერში "ჯეოჰოსპიტალსის" ამბულატორიულ ცენტრს 1200 პაციენტმა მიმართა, 2017 წლის პირველი იანვრიდან 10 რიცხვამდე ეს ციფრი უკვე 1100-სს შეადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში რესპირატორული ვირუსული ინფექციით რაოდენობა გაზრდილია.

ამ კუთხით განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს დეკემბერ-იანვარი. მიუხედავად პაციენტთა გაზრდილი მომართვიანობისა, ექიმ-თერაპევტის, რუსუდან წილოსანის აზრით, სამტრედიაში საგანგაშო სიტუაცია არ გამოიკვეთება: "დაავადების კუთხით საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს. ეს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი სურათია. უბრალოდ, პაციენტები დაგვიანებულები მოდიან, გართულებული ჯანმრთელობით, რაც იწვევს დაავადების გაძლიერებას".

რუსუდან წილოსანის ინფორმაციით, ამბულატორიულ ცენტრს აკითხავენ ვირუსული რესპირატორული ინფექციებით, დაავადებული პაციენტები. ნაკლები სიხშირით გვხვდებიან ენტეროვირუსით დაავადებულები. შარშანდელისაგან განსხვავებით, საბედნიეროდ, არ აღინიშნება მძიმე პნევმონიით მიმდინარე გართულებული ინფექციები. სამტრედიელი ექიმების რჩევაა მოქალაქეებმა გაითვალისწინონ სეზონური ჩაცმულობა, რითაც თავიდან აიცილებენ გაციებას, ასევე გასათვალისწინებელია ხელების ხშირი დაბანა, რესპირატორული ინფექციით დაავადებულთა კონტაქტის შემთხვევაში ნიღბის გამოყენება ხშირი ცვლით.

ნინო ნანიტაშვილი

ახალი წლის ღამე

31 დეკემბრის ღამე დაუვიწყარი გახლდათ სამტრედიელი ახალგაზრდებისთვის. მთელი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა სახის ღონისძიებებით. მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, საახალწლო ღონისძიებები 18 საათზე სანტების გარბენით დაიწყო, რომელიც მომავლის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა ფლეშმობით. მასში მონაწილეობდა 70-მდე სხვადასხვა ასაკის სამტრედიელი.

პარალელურად "საშობაო ქალაქის" მიმდებარე ტერიტორიაზე თოვლის ბაბუა ტკბილეულით უმასპინძლდებოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს. 10 საათზე კი მომავლის პარკში საახალწლო კონცერტი გაიმართა, რომლის პირველ ნაწილში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი მუსიკოს-შემსრულებლები. განსაკუთრებული აღფრთოვანება როკ-ფოლკ ჯგუფ "ლადის" გამოჩენას მოჰყვა. შემდგომ კი სცენა დაეთმო ანსამბლ "იმედის" უფროს თაობას, ჯგუფ "X-სს", ქორეოგრაფიულ ანსამბლებს "სამტრედიას" და "ზრდა მოცეკვავისას".

კონცერტის მეორე ნაწილში ქართული ესტრადის დედაქალაქიდან მოწვეული ვარსკვლავები მღეროდნენ. როგორც მსმენელები აღნიშნავდნენ, განსაკუთრებული სიხარული მოუტანა მათ ისეთი ნიჭიერი მომღერლების გამოჩენამ, როგორებიცაა, გიორგი ლაფაჩიშვილი, რეზიკო დიდებაშვილი, მარიამ კახელიშვილი და სალომე ტეტიაშვილი. თავად შემსრულებლები კი აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი მასპინძლობა მათთვის არავის გაუწევია. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ სამტრედიელი მსმენელის ყურადღებითა და მუსიკალური გემოვნებით. უფრო მეტიც, იმ დღის შემდეგ სამტრედიელ თინეიჯერებთან დამეგობრებულები, ჩვენს ქალაქში სამომავლო გეგმებისა და პროექტების განხორციელებაზე ფიქრობენ. სტუმრები ასევე აღფრთოვანებულნი დარჩნენ კონცერტის წამყვანებით _ ბექა თევზაძეს და არჩილ ბოხუას საოცარი ხალისით მიჰყავდათ საღამო.

კონცერტი დასრულდა გრანდიოზული ფოიერვერკით.

ნინო ნანიტაშვილი

სასწავლო წლის თარიღების განსაზღვრა

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ 2017 წლისთვის საჯარო სკოლებში გაზაფხულის, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების, ასევე სასწავლო წლის დაწყების თარიღები განსაზღვრა.

როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა, ელიზა ცხვირავაშვილმა განგვიმარტა: "ცვლილება 2016 წლის 30 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას № 176 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა. სადაც იკითხება:

"საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყების და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის № 84 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და საქართველოში სასწავლო წლის დაწყების თარიღად განისაზღვრა 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 15 ივნისი. იმ შემთხვევაში, თუ 15 სექტემბერი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, სასწავლო წელი დაიწყოს 15 სექტემბრის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს. თუ დასრულება, ანუ 15 ივნისი ემთხვევა დასვენების დღეს, სასწავლო წლის დასრულების თარიღად განისაზღვროს 15 ივნისის წინა პარასკევი. იქვე მითითებულია, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველი კლასის მოსწავლეებისთვის სასწავლო წელი დასრულდეს 27 მაისს, ხოლო დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, 20 მაისს.

ზამთრის არდადეგები განისაზღვროს 30 დეკემბრიდან 15 იანვრამდე, საგაზაფხულო არდადეგები _ 8 მარტიდან 15 მარტამდე, ხოლო ზაფხულის არდადეგები _ 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე".

ნინო ნანიტაშვილი

კვების პროდუქტების შესყიდვაზე ტენდერი დასრულებულია

მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 16 იანვარს განახლდება.

საშობაო არდადეგების შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა სწავლას შეუდგება. ახალი 2017 წლიდან, სააღმზრდელო პროცესის განახლება ანონსდება სკოლამდელ დაწესებულებებშიც.

6 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებასა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 23 საბავშვო ბაღიდან 16 იანვარს, სავარაუდოდ, სააღმზრდელო პროცესს ყველა განაახლებს.

2016 წლის მანძილზე კვებაში გაკეთებული ეკონომია, 75 000 ლარი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით რემონტებზე იქნა მიმართული.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება პირველ, მე-2, მე-4, მე-5, მე-9, მე-10, მე-11, ეწრისა და დიდი ჯიხაიშის № 2 საბავშვო ბაღებში სარემონტო სამუშაოებს ახლა ახორციელებს. სასიხარულოა, რომ 2016 წლის ბოლოს გამოცხადებული ტენდერი სამტრედიელმა მშენებლებმა მოიგეს. ამ დღეებში ზემოჩამოთვლილ სააღმზრდელო დაწესებულებებში ისინი სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოებს ჩაატარებენ. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ 2016 წლის 28 დეკემბერს ასევე გამოაცხადა ტენდერი 2017 წლის კვების პროდუქტების შესყიდვაზე. მონაწილეობის სურვილი 6-მა პრეტენდენტმა გამოთქვა.

6 იანვარს 15 საათზე გამარჯვებულმა კომპანიებმა დაზუსტებული ფასების ცხრილი შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ატვირთეს, ამის მიხედვით მომწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა.

ნინო ნანიტაშვილი

"ყველას, ყველას, ყველას, სიხარული ყველას"

ანსამბლი "ორუდილა" ყოველ ახალ წელს საახალწლო პროექტის რამდენიმე კონცერტს სთავაზობს ერთგულ მსმენელს. ასე იყო ამჯერადაც. საახალწლო პროექტის ერთ-ერთ კონცერტზე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მიგვიპატიჟეს. ცივი დარბაზი ამ ანსამბლის მონაწილეთა თბილმა ჰანგებმა გაათბო. "ორუდილას" ბუდიდან უკვე მრავალი ნიჭიერი ბავშვი აფრინდა, ანსამბლის დიდ და სახელოვან ისტორიას ნიჭიერი ახალგაზრდები შესანიშნავი ქალბატონის, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას ხელმძღვანელობით 23 წელია ქმნიან. კონცერტში მონაწილეობდნენ პატარები, საშუალო ჯგუფის წევრები და უფროსები.

"ორუდილას" უფროსი თაობის მომღერალთაგან კულტურის სახლის სცენაზე სამნი წარსდგნენ _ ქრისტინე კერელეიშვილი, ანანო გალდავა და ანი თვაური.

ანსამბლის წევრებმა უცხოური ჰიტები და ქართველ კომპოზიტორთა შესანიშნავი სიმღერები შეასრულეს, მათ შორის მრავლად შესრულდა მაესტრო ნონა ჭახნაკიას სიმღერები. პატარა მომღერლებმა მსმენელი მართლაც ულამაზეს და ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურეს. წამყვანებმა თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს მოსწავლეახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, "ორუდილას" სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიკო ანკვაბს, მხატვარ ნანა რუხაძეს და ქორეოგრაფ ნანა ბებიას. მთელი კონცერტის განმავლობაში ორუდილელებთან ერთად იმყოფებოდა სანტა, რომელსაც არც ერთი მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული ნომრის მსვლელობისას არ დაუტოვებია სცენა და არც ქათინაურებს აკლებდა ამა თუ იმ შემსრულებელს. კონცერტის ფინალურ აკორდად ნონა ჭახნაკიას "სამტრედია" აჟღერდა.

ტატა გოგუაძე: "დღეს პირველი საახალწლო კონცერტი აქვს "ორუდილას", წარმატებებს ვუსურვებ ქალბატონ ნონას ამ დაუღალავი შრომისათვის, ასეთი პროფესიონალიზმისათვის, ამდენი წელია ანსამბლი ახარებს და ალამაზებს ჩვენს ქალაქს."

კონცერტის ბოლოს ნონა ჭახნაკიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "ყოველ ახალ წელს საანგარიშო კონცერტით გამოვდივართ პუბლიკის წინაშე,

დღეს 3 თაობა წარსდგა სცენაზე, სულ შესრულდა 25 სიმღერა, აქედან 10 სიმღერა ჩემია. ზაფხულისათვის ანსამბლი ახალი, საინტერესო პროექტით წარსდგება სამტრედიელი მსმენლის წინაშე და ამ სიახლეს ინტრიგად დავტოვებ".

დარეჯან ქავთარია, მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი: "ჩემი შვილი სამი წლიდან ამ ანსამბლში მღერის. რამდენიმე თაობა აღზარდა ქალბატონმა ნონამ, სასწაული ქალბატონია, ახალი იდეებით შთაგონებული, ამ დამსახურებულ ქალბატონს უამრავი სიმღერა აქვს სამტრედიაზე, მშობლის სახელით მას უდიდეს მადლობას მოვახსენებ და ბევრ სიკეთეს ვუსურვებ."

ნათია ნაცვლიშვილი

შობა ღამის სამტრედიული ზღაპარი

თეა ბაბუნაშვილი

ზედიზედ რამდენიმე წელია, სამტრედია ვაგზლის მიმდებარე მოედანზე, ხალხმრავლობითა და დიდი მხიარულებით ატარებს შობა საღამოს. და ეს საჩუქარია, საშობაო კონცერტს ცნობილი სახეებით, დაგვირგვინებულს ულამაზესი ფეიერვერკით, კახა კალაძე ჩუქნის სამტრედიელებს. მას, რა თქმა უნდა, არ გაცნობთ, იმიტომ, რომ არაა საჭირო. იცნობს მსოფლიო როგორც საუკეთესო ფეხბურთელს, იცნობს საქართველო და არა მარტო საქართველო, ვიცე პრემიერსა და ენერგეტიკის მინისტრს. სამტრედიას კი უყვარს, როგორც უბრალოდ სამტრედიელი.

საახალწლოდ მორთული მოედანი და ქალაქის ცენტრი, საოცრად შთამბეჭდავი გახლდათ. კონცერტის პირველივე აკორდი მთელი მუნიციპალიტეტის სიამაყის, საქართველოს ჩემპიონი საფეხბურთო კლუბის დაჯილდოვება იყო. ორმაგად შთამბეჭდავი გახდა, წარსულში ცნობილი ფეხბურთელისგან ნათქვამი "მადლობა ამ სიხარულისთვის!"

სამტრედიული ჯგუფი "ლადი", ისე როგორც გასულ წელს, წელსაც სტუმრად ჩამოსული ცნობილი მომღერლების აღფრთოვანების მიზეზი შეიქნა. მერე კი სცენაზე ერთმანეთს "ქუჩის ბიჭები", ელენე კალანდაძე, სოფო ბედია, ელდარ შოშიტაშვილი, დათუნა სირბილაძე, ჯგუფი "ლენდი" და იუმორისტი ბესო ბერულაშვილი სცვლიდნენ. კონცერტი ამიკოსა და ფაქოს მიჰყავდათ. მათ რამდენიმე სიმღერაც შეასრულეს მსმენელისთვის.

შობას სამტრედიას სხვა საპატიო სტუმრებიც ჰყავდა. აქაურებთან ერთად გაატარეს საღამო იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, მისმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ. მათთან ერთად იყვნენ სხვა პასუხისმგებელი პირები და პარლამენტის არაერთი წევრი.

ადგილობრივი ხელისუფლება და მაჟორიტარი გია მიქელაძე მასპინძლობდნენ მათ.

გარდა საახალწლო სანახაობისა, ეს საღამო დაუვიწყარად იქცა ორი სამტრედიული ოჯახისათვის. შობა ღამის სამტრედიული ზღაპარი მათთვის ამ კონცერტზე კეთილად დასრულდა. ირინა და დათო კვინიკაძეების 5 შვილიან ოჯახს, კახა კალაძემ საცხოვრებელი სახლი გადასცა საჩუქრად. შუბლაძეების 7 შვილიანი ოჯახი კი, წარმოშობით სამტრედიელმა პარლამენტარმა და ბიზნესმენმა, ილია წულაიამ დაასაჩუქრა საცხოვრებელი სახლით.

და ცა ათასფრად გაანათა ელვარე შუქმა. ზღაპრული სანახაობა მომავალ შობამდე ემოციებად შესანახი ფეიერვერკით აენთო. ახალი წელი ბევრს მოიტანს ამ ფერებვით ნათელს და ამგვარად შთამბეჭდავს. მოიტანს იმედს, რომ კიდევ დადგა მშვიდობით, შრომით, წინსვლით, ბედნიერებით გასავლელი ერთი ახალი წელი.

მერე მომავალი შობაც მოვა... და კიდევ ბევრი წელი, ათასი ფერით, ათასი ემოციით, სიკეთით და სიხარულით ჩამოსაფურცლი.

ღილა არის ახალი წლის

მოსაწვევი ნაადრევად მოქარგ-მოხატეს, ასე იცის სოფელმა, სხვა გულით და სხვა ხიბლით გაჯადოვებენ აქაურები, უფლისაგან მრავალი სიკეთით დაჯილდოვებულნი. ნიგორზღვის საჯარო სკოლის საახალწლო ნაძვის ხეზე ნათურები რომ აციმციმდნენ, სოფლის ორღობეში აქა-იქ ჯერ კიდევ იდო თოვლი, მაღლა, მთებში მიიწევდა ეს სითეთრე და სილამაზე, იდეალურად ერწყმოდა იმ რეალობას, ფანჯრებს მიღმა, სკოლის დარბაზში რომ დაგვიხვდა.

თუ ტრადიციულ სასკოლო ღონისძიებებზე წამყვანი სცენაზე წარსადგენ ამა თუ იმ ნომერს აცხადებს, ამჯერად მან სცენაზე არა ნომრის წარმომდგენები, არამედ, თითოეული კლასი მოიხმო. კლასებმა თავიანთი შემოქმედება წარმოაჩინეს. ვაჟა გაახსენდება ალბათ ზოგიერთს "გზას ვამბობ, თორემ რა გზაა"... კლასს ვუწოდებთ სამ და ოთხბავშვიან კლასს, ეს რაოდენობაც სანატრელი გახდომია დღეს სოფლის სკოლას. ამ სკოლის მთელი კონტინგენტი ქალაქის სკოლის ზოგ პედაგოგს გაკვეთილზე უზის, მაგრამ, მაინც სასიხარულოა, მიგრაციის პროცესს რომ უმკლავდება სოფელი და ამ სკოლის სახით ერთგვარი მყარი ციტადელი რომ შეუქმნია. პირველი ფიცრული, საგანმანათლებლო კერის მისია რომ შეითავსა, 1912 წელს აუგიათ აქაურებს. კომუნისტურ პერიოდში კაპიტალური შენობა აიგო. სკოლის პედაგოგებმა არაერთი წარჩინებული მოსწავლე აღზარდეს. დღეს "სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული"... საახალწლოდ ქართველი კლასიკოსების შემოქმედებიდან პოეტური მარგალიტები წარმოადგინეს მოსწავლეებმა, ასევე მოგვილოცეს ახალი წლის შემობრძანება ინგლისურ ენაზე. სკოლის მოსწავლეები ლელა ვაშაყმაძე და მარიამ წეროძე ტოლების მუსიკალური სკოლის მოსწავლეები არიან და არაერთი კონკურსის გამარჯვებულნი, ამდენად, საინტერესო მუსიკალური ნომრებითაც გაგვანებივრეს. აბა ტრადიციულ ქართულ ცეკვას ვინ ეტყოდა საახალწლო დღეებში უარს, ქართულიც იცეკვეს და აჭარულიც. არც ინგლისურენოვანი სიმღერები დავიწყნიათ. საბა თავაძემ დეკლამაციის ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა. "მივულოცოთ ჩვენს სამშობლოს, დილა არის ახალი წლის" _ მჭექარედ ამბობენ სამშობლოს მომავალი ერთგული და საიმედო დამცველები. ხვალის საქართველოს ფარ-აბჯრად და ჯაჭვის პერანგად დასაგულებელნი. წარმატებები ამ პატარა სოფლის სკოლის ოცივე მოსწავლეს!!!! სკოლის დირექტორმა გრიგოლ კიკვაძემ ახალი წელი მიულოცა მოსწავლეებს, წარმატებები უსურვა და სამახსოვრო სიგელებით დაასაჩუქრა ისინი.

ღონისძიება მოამზადეს სკოლის ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგმა მარიკა ლაპარტყავამ, გეოგრაფიისა და ხელოვნების პედაგოგმა ირინა ხაბეიშვილმა, დაწყებითების პედაგოგმა, თამუნა თარგამაძემ და ინგლისური ენის პედაგოგმა მაყვალა გიორგაძემ.

ნათია ნაცვლიშვილი

"ჩვენი მკითხველი"

ასე ჰქვია საქართველოს საბიბლიოთეკო გაერთიანებების ჩემპიონატს სკოლის ასაკის მოსწავლეებს შორის ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" რომლის პირველი ეტაპი ერთდროულად, 23 დეკემბერს ჩატარდა.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განსაკუთრებული სიჭარბეა ახალგაზრდებისა.

ჩემპიონატის პირველ ეტაპში 5 გუნდი მონაწილეობდა:

დიდი ჯიხაიშის სასოფლო ბიბლიოთეკა (სოფელ დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლა) გუნდი **"პირველი".**

ღანირის სასოფლო ბიბლიოთეკა (ღანირის საჯარო სკოლა) გუნდი **"ნიკე".**

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა (ქალაქის XI საჯარო სკოლა) გუნდი **"XI საჯარო სკოლა".**

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა (სამტრედიის III საჯარო სკოლა) გუნდი **"იპრიტი".**

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა (სამტრედიის მე-IX საჯარო სკოლა) გუნდი **"B612".**

სამსაჯო კოლეგიას ლაშა ლორია და დათო მანჯგალაძე წარმოადგენდნენ, წამყვანი ლევან ცირეკიძე გახლდათ, მისი ასისტენტი კი, მარიამ აბრამიშვილი.

მსაჯთა კოლეგიამ ქულათა მიხედვით გამარჯვებული გუნდები გამოავლინა.

პირველი ადგილი IX საჯარო სკოლის გუნდ " B612" ხვდა წილად (კაპიტანი თეა მიქელაძე).

მეორე ადგილის მფლობელი XI საჯარო სკოლის გუნდი "XI საჯარო სკოლა" გახდა (კაპიტანი მამუკა კიღურაძე).

მესამე ადგილს დასჯერდა III საჯარო სკოლის გუნდი "იპრიტი" (კაპიტანი საბა კალაძე).

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მზია ჩიხლაძემ მადლობა მოახსენა ჩემპიონატის მონაწილეებს, გულშემატკივრებს და გამარჯვებული გუნდების კაპიტნებს შესაბამისი სიგელები გადასცა.

ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას სამადლობელით ლევან ცირეკიძემ მიმართა.

"კარგი აქტივობა იყო, საინტერესოდ წარიმართა ყველაფერი, ვისურვებდი მომავალ ჩემპიონატებში უფრო ბევრი გუნდი, შესაბამისად მეტი მოსწავლე იყოს ჩართული". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე).

'იმის მიუხედავად რომ ამჯერად ვერ გავიმარჯვეთ, მაინც კმაყოფილი ვარ, რამეთუ ასეთი დონის ღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა, ვულოცავ გამარჯვებულებს, მადლობა ღონისძიების ავტორს, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას". _ ასეთი კომენტარი გააკეთა ღანირის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ლეილა ომანაძემ.

მეტად საჭირო, დროული და მისასალმებელია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და უშუალოდ მისი დირექტორის, ბატონ გიორგი კეკელიძის მიერ განხროციელებული პროექტები, რომლითაც ესოდენ განებივრებულები ვართ ქართველები. ეს დღეც ამისი კიდევ ერთი გამოხატულება იყო.

ლევან გაბაჩავა

სად გაქრა თოვლის ბაბუა?

კეთილი სურვილებითა და ათასგვარი სასუსნავით ავსებული ხურჯინგადაკიდებული თოვლის ბაბუას მოლოდინში იზრდებოდნენ ბავშვები ათეული წლების მანძილზე.

თოვლის ბაბუაც არ აწბილებდა მათ და...

როცა საათი 12-ს შემოჰკრავდა კეთილი ბაბუაც ლოცვითა და ტკბილეულით შემოაღებდა კარს.

ერთი სიტყვით არც ინტელექტი აკლდა იმ თაობებს ბაბუას რომ ელოდნენ, სწამდათ მისი არსებობა (შედარებით მცირე ასაკში) და არც ჭკუა-გონება უჭრიდათ ნაკლებად თანამედროვეთაგან განსხვავებით.

მოდას ავყევით.

ჩვენი ერისათვის დამახასიათებელმა მაქსიმალისტობამ აქაც იჩინა თავი და...

კარგა ხანია თოვლის ბაბუა კეთილმა, მაგრამ მაინც უცხო სანტამ ჩაანაცვლა.

მართალია სანტა ჯერ პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს და პოლიტიკაში აშკარად არ ერევა, მაგრამ ქვეცნობიერად, ეროვნულის, ქართულის გვერდზე მიჩოჩება და უცხოურის დამკვიდრება ნამდვილად იკითხება აქედან.

ბევრს არ გავაგრძელებ.

იქნებ ვიპოვოთ გაბრაზებული თოვლის ბაბუა, ისევ მოვიწვიოთ თბილ ბუხრებთან.

სანტა კი...

სანტა თავად თოვლის ბაბუამ მოიწვიოს.

წერილის დაწერის იდეა წინასაახალწლოდ რედაქციაში ჩვენი გაზეთის დიდი მეგობრის, პოეტ ანზორ გეგუჩაძის (ზმანებას) სტუმრობისას დაიბადა.

თავად ბატონი ანზორიც სწუხდა ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუმცა ყურადღებაგასამახვილებელ ფაქტზე.

ლევან გაბაჩავა

„ალილოს" და „ჩანგის" შთამბეჭდავი კონცერტი

ნათია ნაცვლიშვილი

საახალწლო დღეებში ნამღერ "ალილოს" ამ ჭერქვეშ სულ სხვა განცდა და ემოცია მოაქვს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლის სახელწოდებადაც შემთხვევით არ შეურჩევია მადონა მასწავლებელს "ალილო". ამ სახლის ფოლკლორულ განყოფილებას მრავალი წელია უდგას სათავეში ამაგდარი ქალბატონი, მადონა კოხრეიძე და ქართველი კაცის უმთავრეს გენეტიკურ სიმდიდრეს _ მრავალხმიან ქართულ სიმღერას თაობიდან თაობას შეასწავლის და გადასცემს. ფოლკლორულ ანსამბლ "ალილოს" ქალბატონი მადონა ხელმძღვანელობს, ხოლო ხალხურ ინსტრუმენტალურ ანსამბლს "ჩანგი"_ მერი ტკვაცირია. ქალბატონი მერი ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრას ასწავლის ბავშვებს, ის საკუთარ მოსწავლეებთან ერთად არაერთხელ წარმდგარა არაერთ სცენაზე. არც ამ კონცერტზე ყოფილა გამონაკლისი. ეს პედაგოგები უდიდესი სიყვარულით აკეთებენ თავიანთ საქმეს.

ამჯერადაც საახალწლო კონცერტზე მიგვიპატიჟეს ანსამბლების "ჩანგისა" და "ალილოს" წევრებმა. ქართული სიმღერისა და ცეკვის ცეცხლი დაანთეს. არც თოვლის ბაბუას დაუტოვებია ტკბილეულის გარეშე პატარები. სიახლე ისიც იყო, რომ ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების დაცვით მოიხმეს კონცერტის მონაწილეებმა სცენაზე თოვლის ბაბუა (გია სტურუა). სიამაყით აღსავსე უსმენდა "ალილოსა" და "ჩანგის" პატარა მომღერლებს სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე. კონცერტი გაიხსნა სიმღერით "მუხა წონწილებს". შესრულდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები. მეგრული, აჭარული, ქართლური, ხევსურული, იმერული, გურული, ყაზბეგური... ინსტრუმენტებზე შეასრულეს ძველი ქართული საცეკვაო მელოდიები. კონცერტი "ალილოთი" დაგვირგვინდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური კონცერტს მშობლის ამპლუაში უკვე მერამდენედ ესწრება და მერამდენე მადლობას უხდის მადონა მასწავლებელს. მისი ორი შვილი ფოლკლორულ ანსამბლში მღერის: "ძალიან დიდ, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ქალბატონი მადონა, ქართული ფოლკლორი არის ჩვენი საგანძური, ქართველებს უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა გვაქვს, ამ მემკვიდრეობის ერთ-ერთ დიდ შენაკადად შეიძლება ქართული სიმღერა წარმოვიდგინოთ. ამ სიმღერებში არის უდიდესი მუსიკალური ჰარმონია, იუმორიც. ხედავთ, ბავშვები როგორი ანთებული თვალებით მღერიან ქართულ სიმღერას, მადლობა ამისათვის მადონა მასწავლებელს."

მე-11 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მაია ლორია ამ ანსამბლის ერთ-ერთი წევრის მშობლის რანგში გაგვესაუბრა: "განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მადონა მასწავლებელს იმისათვის, რომ ასეთ საქმეს ემსახურება. ქართული ფოლკლორის შენარჩუნება უდრის საქართველოს შენარჩუნებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბების ფონზე შეიძლება ვიფიქროთ საქართველოს ხსნაზე. ქართული ფოლკლორი არის ჩვენი სულიერების საიდუმლო, რომელსაც ვერცერთი პოლიტიკური რყევა ვერას აკლებს. ძალიან დიდ, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ქალბატონი მადონა, ყოველთვის მზად ვართ, ასეთი ბედნიერი თანაგანცდა მშობლიურ მუსიკასთან მრავალგზის ვიზეიმოთ მადონა მასწავლებელთან ერთად."

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

“ჩვენს თეატრს მართლის თეატრის ფერი დაედვა მას აქეთ, რაც მისი საქმე თავს იდვა ჩვენმა დრამატულმა საზოგადოებამ”.

ილია

1850 წელს, კომედიით “გაყრა” (გ. ერისთავი) სათავე დაედო ქართული პროფესიული თეატრის დაბადებას.

მერე გარემოებათა გამო ეს საქმე შეწყდა. 1879 წელს განახლდა ძალისხმევა ქართული თეატრის აღდგენისათვის.

დიდი ილია ჭავჭავაძისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ჩამოყალიბდა დრამატული საზოგადოება, რომლის წესდების შემუშავებაც სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად ნიკო ნიკოლაძეს დაევალა.

14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნება.

ამდენად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გავიხსენოთ ქართული თეატრის შესანიშნავი მოღვაწეები, ვალერიან გუნია და კოტე მესხი.

სამოღვაწეო ასპარეზზე ვალერიან გუნია XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა და მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე იყო ლიტერატურისა და თეატრის სადარაჯოზე. დიდია წვლილი, მან რომ შეიტანა ეროვნული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ორგანიზატორი... ასეთი მრავალმხრივი მოღვაწე იყო იგი.

1889 წელს გამოვიდა ვალერიან გუნიას წიგნი “ქართული თეატრი”.

შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნით ვალერიან გუნიამ პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართული თეატრის მეცნიერულ ისტორიას.

“ცნობის ფურცელი”, “ივერია” ხშირად წერდა ბატონი ვალერიანეს მიერ მაღალპროფესიულად მომზადებულ ნარკვევებს, რეცენზიებს, კრიტიკულ წერილებს თეატრსა და თეატრალებზე.

1894 წელს 12 ოქტომბერს დაიწვა ქუთაისის ეგრეთ წოდებული ბაღის თეატრი. აქ დასის ხელმძღვანელი კოტე მესხი იყო, მისი და _ ეფემია კი დასში ირიცხებოდა.

ვალერიან გუნიამ გამამხნევებელი წერილი გაუგზავნა კოტე მესხს. ჰპირდებოდა მას ბათუმში, ან თბილისში გადმოგიყვანთო, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ ქუთაისი თეატრის გარეშე არ უნდა დავტოვოთო.

საინტერესოა აგრეთვე ვალერიან გუნიას სხვა წერილი კოტე მესხისადმი, სადაც ის ატყობინებს მესხს გაზეთ “ცნობის ფურცელის” მოსალოდნელი დახურვის შესახებ.

კოტეს!

გაზეთის საქმე ძალიან ცუდად არის, სტამბამ გამომიცხადა მეტი აღარ შეგვიძლიან და სხვაგან მოსძებნეთ ადგილიო.

არ ვიცი ვის მივმართო, ქალალდისათვის ფარა არ არის, ამასთანავე კოწია მუხრანსკის ვწერ წერილს მასესხოს შემდგომამდე ასი თუმანი... ნეტავ რამე გამოდნეს. აბა შენ იცი, ეცადე კოწიასთან ან სხვა ვინმესთან, ნახე ზურაბოვი და მოელაპარაკე თეატრზე 1 დეკემბრიდან”...

წერილებიდან ჩანს, რომ ვ. გუნია ფულს სესხულობს, რომ გაზეთი დახურვას გადაარჩინოს, ზურაბოვს ეხვეწება, რომ ქუთაისს თეატრი ჰქონდეს და არ მოიშალოს იქ კულტურის კერა, ასე, რომ სადაც უნდა იყოს გუნია, ყოველთვის ეროვნული საქმის მოთავედ გვევლინება.

აქვე, მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ კოტე მესხისადმი მიწერილ კიდევ ერთ წერილს:

ძვირფასო კოტე!

...

ეხლა ნება მიბოძე ჩემი აზრიც გამოგიმღავნო.

მე ამთავითვე დარწმუნებული ვარ, რომ შენი ჩვეულებრივი მხნეობა ქუთაისში ისევ ახალ თეატრს გააჩენს და მით იქაურ საზოგადოებას არ დასტოვებს უქართულწარმოდგენებოდ. ეს ერთი, მეორე _ შენ ეხლა უეჭველია არა თუ ისე ეცდები სადმე მკვიდრი ნიადაგი მოიპოვო სასცენო მოღვაწეობისათვის, ამისთანა ადგილათ მე მიმაჩნია ბათომი, ან თბილისი. აი, მე რა აზრი მაქვს: შენ და შენი დაი ეფემია, რომ აქ ჩამოხვიდეთ ამ სეზონში ძლიერ კარგი იქნება.

...

ველი პასუხს. შეგიძლიათ, თუ არა ორივეს ჩამოსვლა მთელი სეზონით.

რა სასყიდელს მოითხოვთ ორნივე.

რა პირობებს მოგვთხოვთ.

მანდობ თუ არა მე თვით დავიწყო შენ მაგიერ ამხანაგობასთან ლაპარაკი.

შენი ძმა ვალიკო გუნია

შაბათი, 15 ოქტომბერი, 1894 წელი.

ამგვარმა ფართო საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ვალერიან გუნია და კოტე მესხი ჩააყენა იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც ერის ხსოვნაში მარად უკვდავნი და დაუვიწყარნი არიან.

90 წელი შესრულდა ქართული აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **ვასო აბაშიძის** გარდაცვალებიდან (1854-1926 წ. წ.).

“... ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, ამ საუკუნის 80-იან წლებში გამობრწყინდა მისი უებრო სასცენო ნიჭი.

მისი გამოჩენა დაემთხვა სწორედ იმ დროს, როდესაც დიდებული ილიასა და აკაკის მეოხებით 1879 წელს თბილისში აღდგენილ იქნა ქართული, მუდმივი პროფესიული დასი.

ვასო აბაშიძე თითქოს თეატრისათვის, მსახიობობისათვის იყო დაბადებული. მან ეს თავიდანვე მშვენივრადვე იგრძნო, განსჭვრიტა, შეაფასა და მოვიდა თავის საქმესთან. მოვიდა და მაშინვე დაიკავა პირველი, წამყვანი ადგილი ქართულ თეატრში.

...

“საქართველოს ხალხი ამაყობს, რომ მას ჰყავდა ქართულს თეატრში ისეთი მოღვაწე, როგორიც ვასო აბაშიძე იყო.

ხალხის გულში ვასო აბაშიძის სახელი უკვდავია”. _ წერდა მსახიობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით (1954 წლის დეკემბერში) **შალვა დადიანი.**

ვასო აბაშიძის გარდაცვალებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით, 1956 წელს, პოეტმა აკადემიკოსმა **იოსებ გრიშაშვილმა** ასე გაიხსენა მსახიობი:

ვასო აბაშიძის ხსოვნას

რა მოგონება გიძღვნა ამჟამად,
როცა ყოველ წუთს ხარ მოსანატრი.

თუ შენზე რამ ვთქვი _ ეს ხომ იქნება _
განუყრელობა, _ შენ და თეატრი!
ძველ ქართულ თეატრს, ბუნებით მდიდარს,
მაგრამ მიგდებულს ბედის ამარად,
ერთგულ გუშაგად გარს შემოერტყი,
როგორც “გიჟუას” ვერცხლის ქამარი!

შენი მიმიკა _ ნაქვთების კრთომა _
შენი ღიმილი ცრემლში ნალესი,
ეს იყო ქართლის ნიჭის ზეიმი
და სიხარული უმწვერვალესი.
შენს მიერ თქმული ყოველი სიტყვა,
იყო სუნთქვა და ხალხის გულის ხმა,
შენი შემოსვლა ქართულ თეატრში
იყო მოვარდნა გაზაფხულისა!

არ ივიწყებენ ჩვენში ღირსეულ მამულიშვილებს, მცირე პუბლიკაციაც ამის გამოხატულებაა ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით.

ლევან გაბეჩავა

ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

დიდხანს იწყებდა ამ სიტყვებით მაუწყებლობას საქართველოს ტელევიზია.

60 წლის წინ, 1956 წლის მიწურულს აინთო ცისფერი ეკრანი საქართველოში და დასაბამი მიეცა კიდევ ერთ ტექნიკურ პროგრესს.

თავდაპირველად, იხსენებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, დიდი ფუფუნება იყო ყველას შეეძინა “ჯადოსნური ყუთი” მთისა და ბარის ცოცხალ ამბებს საკუთარ კერაზე რომ აუწყებდა ხარატსა და მევენახეს, მუშას, ექიმს, სპორტსმენს...

ყველა ოჯახის “სასურველ, დაუპატიჟებელ სტუმრებად” იქცნენ პირველი თაობის ტელეწამყვანები _ დიქტორები: ლია მიქაძე, ჟანეტა არჩვაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, დონარა კინწურაშვილი, დავით ძიგუა, თენგიზ ნათაძე, ომარ ტივაძე, ნუგზარ ჯუღელი, დავით სოკოლოვი...

დრო გავიდა...

60 წელი გახდა საქართველოს ტელევიზიის დაარსებიდან.

არავის უკვირს ამჟამად ოკეანის მიღმა მომხდარ კარგ თუ ცუდ ინფორმაციებს წამის უსწრაფესად რომ ვიგებთ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგია ყოველივე.

დღეს წარმოუდგენელია კაცობრიობის ცხოვრება ტელემაუწყებლობის გარეშე.

ის ერთი ჯადოსნური დღე კი, როცა პირველი ქართული ეკრანი აინთო ისტორიულ მოვლენად იქცა უკვე, რამეთუ 60 წელი გავიდა იმ ერთი არაჩვეულებრივი დღიდან.

ლევან გაბეჩავა

როგორ მოვუაროთ ხელებს ზამთარში სახლის პირობებში

ზამთარში კანი ხელის მტევნებზე განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს. სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით ხელებზე კანი თხელია. აქ პრაქტიკულად არ არის ცხიმოვანი კანქვეშა შრე და მხოლოდ მცირე რაოდენობის ცხიმოვანი ჯირკვლებია.

ხელისგულებზე კი ესეც არ არის. ეგრეთ წოდებული ჰიდროლიპიდური საფარი, რომელიც უზრუნველყოფს კანის ბუნებრივ დაცვას, ხელებზე ნაკლებად გამოხატულია. კანი ხელის მტევნებზე შეიცავს 4-5 ჯერ ნაკლებ წყალს, ვიდრე სახეზე.

შედეგად კანი ხელებზე ხშირად არის მშრალი, ანუ გაუწყლოებული. 40-50 წლის შემდეგ კი, დამცავი კანქვეშა ცხიმის გამოყოფა კიდევ უფრო მცირდება, ქვეითდება კანის ელასტიურობა, ის კიდევ უფრო თხელი ხდება. სიცივეს, ქარსა და ყინვას შეუძლია გამოიწვიოს ხელის მტევნების ნაზი კანის გამოშრობა, გაუხეშება, გაღიზიანება, შეწითლება და შეშუპება. ამიტომ საჭიროა კანის ინტენსიური კვება ვიტამინებით და ანტიოქსიდანტებით.

უამინდობის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, სალონური და სახლის პროცედურების შეთავსება. ყოველდღიური ელემენტარული ზრუნვის გარეშე საუკეთესო სალონური პროცედურებიც არ იქნება ეფექტური. ხელებზე კანის სილამაზის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, აუცილებელია ხელების მოვლა სახლის პირობებშიც.

მხოლოდ ძილის წინ მკვებავი კრემების წასმა საკმარისი არ არის. უნდა გამოვიყენოთ აბაზანები ეთერზეთებით ან მცენარეული ზეთებით. ისინი შეიცავენ ამინომჟავებს, რომლებიც სასიკეთოდ მოქმედებენ კანის მდგომარეობაზე.

საუკეთესო არჩევანი: ჟოჟობას ზეთი შეიცავს ამინომჟავებს და პროტეინებს, ასევე ვიტამინ B12, რომელსაც გაჩნია რეგენერირების და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ატმის ზეთი აშორებს აქერცვლას, კანის ფერს თანაბარს ხდის. იდეალურია თხელი კანისა და მასაჟისთვის. ხის ზეთს გააჩნია გამაახალგაზრდავებელი, შეშუპების და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

პილინგი ხელებისათვის სახლის პირობებში

დაფქული ყავა შეურიეთ ზეთში. წაისვით ხელის მტევნების კანზე და შეიზილეთ. შემდეგ მოიყარეთ სკრაბის ფხვნილი და დაინამეთ ხელები სველი ხელსახოცით.

შეჭუთვა ხელის მტევნებისათვის

ზეთების საშუალებით შეიძლება ჩავიტაროთ შინაური, სითბური შეფუთვის პროცედურა. პილინგის შემდეგ შემოიხვიეთ ხელებზე პოლიეთილენის პაკეტი და თბილი პირსახოცი 5-7 წუთის განმავლობაში. შემდეგ გაიკეთეთ მასაჟი და მოიშორეთ ზეთის ნარჩენები ხელსახოცით.

შესაბამისი საცხი ხელებისათვის

ნუ წაისვამთ ხელებზე სახისათვის განკუთვნილ საცხებს და ლიფტინგებს. ხელებზე კანი თხელი, ნაზი, ნაკლებ ცხიმოვანია და ამიტომ უფრო ცხიმიან კოსმეტიკურ პროდუქტებს საჭიროებს. გაითვალისწინეთ: ყინვაში, სახლიდან გასვლამდე ერთი საათით ადრე, ხელი მტევნებზე წაისვით მკვებავი საცხი. ამ დროის განმავლობაში კანი მოასწრებს მის შეწოვას, რაც მაქსიმალურად სასარგებლოა.

როგორ მოვუაროთ სახის კანს ზამთარში

ზამთარში, სიცივეში, სახის კანს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, რადგან ამ პერიოდში კანი მუდმივ სტრესშია. ქარი, წვიმა, თოვლი, მზე, სიცივე, შემდეგ სითბოში შესვლა და მრავალი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს მასზე. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, უნდა ისწავლოთ როგორ იზრუნოთ სათანადოდ სახის კანზე. ცივი ჰაერი იწვევს კანის გამოშრობას. რაც უკარგავს მას ტენიანობას, არის შეწითლებული, უხეში. არ დაივიწყოთ, რომ ყველაფერი თქვენს ხელშია და სიცივის მიუხედავად თქვენი კანი ყოველთვის საოცარი იქნება. ისე, როგორც ზაფხულში უვლით კანს, არ იქნება ეფექტური ზამთარში, რადგან ზაფხულის სქემა ასეთია: გაწმენდა-დატენიანება-დაცვა. ცივ სეზონში კი უნდა შეიცვალოს: გაწმენდა-კვება-დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრემის შერჩევას, უნდა გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ტიპის კანისათვის დამატენიანებელი კრემი არ გამოდგება.ზამთარში, როცა გარეთ ნულოვანი ტემპერატურაა, შეიძლება გაიყინოს და კანზე წარმოქმნას ყინულის ქერქი.



როგორი უნდა იყოს კრემი ზამთარში

პირველი _ ის უნდა იყოს საკმაოდ ცხიმიანი, მაგრამ არა ბლანტი.

მეორე _ ზამთრის კრემი უნდა იყოს მკვებავი და შეიცავდეს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც გაუმჯობესებენ კანის რეგენერაციას: ჟოჟობას ზეთი, ხილის მჟავები, ნუშის ზეთები და ვიტამინები A, C, და E. ზამთრის კრემი გამოყენებული უნდა იყოს ერთი საათით ადრე გარეთ გასვლამდე. შემდეგ კი ნარჩენები მოიშორეთ სალფეთქით. გასვლისას კი დაიცავით კანი და წაისვით ტონალური კრემი.

დალიეთ ბევრი წყალი. კანის გამწმენდი ლოსიონები კარგია, რომლებიც არ შეიცავს ალკოჰოლს, რადგან სპირტი აშრობს კანს.

დატენიანება

მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენი კანის მოვლის პროცედურებში შედიოდეს კანის დამატენიანებელი აქტიური კომპონენტები: კოლაგენი, ლეციტინი, შარდოვანა, ალოეს ექსტრატი, ჰიალურონის მჟავა. კვირაში ერთხელ ან ორჯერ გაიკეთეთ დამატენიანებელი სახის ნიღაბი. მაგრამ ეს ნიღაბიც უნდა გაიკეთოთ სახლიდან გასვლამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე.

ბანანის ნიღაბი: 2 სუფრის კოვზი ბანანის პიურე შეურიეთ 1 სუფრის კოვზ ნაღებთან, გაიჩერეთ 10-15 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ხაჭოს ნიღაბი: 1 სადილის კოვზ ხაჭოს შეურიეთ 1ჩაის კოვზი რძე, დაამატეთ ასევე ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე სტაფილოს წვენი, გაიჩერეთ 15-20 წუთის განმავლობაში და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

კვება

სიცივეში ცხიმოვანი ჯირკვლები მუშაობს ცუდად და ამიტომ ნებისმიერი ტიპის კანისათვის საჭიროა კვება. აირჩიეთ ვიტამინი A და E ზეთები, ამინომჟავები, მკვებავი კრემი, რომელიც დაიცავს კანს სიცივისაგან. განსაკუთრებით მგრძნობიარეა და საჭიროებს ინტენსიურ კვებას სახის კანი, ყელი და დეკოლტეს მიდამო.

სიცივისაგან დაცვა

შეწითლებული ლოყები მეტყველებს იმაზე თუ როგორ უჭირს კანს სიცივეში და ამიტომ საჭიროა დავეხმაროთ მას. სანამ გარეთ გახვალთ, წაისვით თხელ ფენად დამცავი კრემი, რომელიც შეიცავს ზეთს, ცვილს, სილიკონს, აუცილებელ ცხიმიან მჟავებს და სხვა კომპონენტებს. ეს დაიცავს თქვენს კანს და სუნთქვის საშუალებასაც მისცემს.

შეხვდით ზამთარს დაცული და მშვენიერი.

როგორ მოვუაროთ ზამთარში ტუჩებს და თმას

ზამთრის ყინვა არამარტო სახის კანზე, არამდე ტუჩებზეც ტოვებს კვალს. ამიტომ აუცილებელია მათი მოვლა. პირველი და უმთავრესი პირობა _ სახლიდან გასვლის წინ წაისვით კრემი ან ვაზელინი, რომელიც ტუჩებს დასკდომისაგან დაიცავს.

ამის შემდეგ შეგიძლიათ წაისვათ ტუჩებზე ჩსაცხი, კარგი იქნება თუ ცხიმიანს შეარჩევთ. ტუჩები სახის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ნაწილია, ხავერდოვანი ბაგეები ნებისმიერი ქალბატონის ღიმილს განუმეორებელ მომხიბვლელობას და იდუმალებას მატებს.

ტუჩების კანი ყველაზე სათუთი და თხელია. ამიტომ მათ მოვლა და ყურადღება სჭირდება, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ტუჩები ადვილად სკდება და იქერცლება. ამიტომ ტუჩის სიმშრალე რომ თავიდან ავიცლოთ, მიიღეთ რაც შეიძლება მეტი სითხე.

შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მრავალფეროვანი რაციონი შეარჩიეთ. უპირატესობა B ვიტამინებით მიანიჭეთ მდიდარ საკვებს. ტუჩებს ძალიან "უყვართ" ყველი და სხვა რძის ნაწარმი, კვერცხის გული, ქათმის ხორცი, თევზი, ბოსტნეული და ქორფა მწვანილი.

ამას გარდა შეეცადეთ ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული პომადა და ტუჩის საცხი გამოიყენოთ.

თუ გსურთ, თმამ ბზინვარება არ დაკარგოს, დაიცავით რამდენიმე ოქროს წესი:

1. გამოიყენეთ მხოლოდ თქვენი თმისათვის განკუთვნილი შამპუნი და ბალზამი;

2. სიფრთხილე გამოიჩინეთ ფენთან. აუცილებელია ფენით თმა ნახევარი მეტრიდან გაიშროთ. ფენი თმას არ დაადოთ. იგი გამოაშრობს თმის ძირებს და მას ბზინვარებას დაუკარგავს.

კვირაში ერთხელ თმის ნიღაბი გაიკეთეთ.

გთავაზობთ ნიღაბს, რომელიც შეუნარჩუნებს თმას სიჯანსაღეს: აიღეთ ერთი სუფრის კოვზი შამპუნი და ერთი სუფრის კოვზი ჟელატინის ფხვნილი, მასა კარგად აურიეთ და დაიდეთ თმაზე. გაიჩერეთ 5-10 წუთი.

ამ ნიღბის გამოყენებით თმა ხშირი და მბზინავი გახდება. დაბანის შემდეგ სველი თმის დავარცხნა არ შეიძლება, რადგან ამ დროს თმა დარბილებულია და ადვილად წყდება. თუ მოკლე თმა გაქვთ, ძირიდან დაიწყეთ თმის გაშრობა და ერთდროულად დავარცხნა, ხოლო თუ გრძელი თმა გაქვთ ბოლოებიდან დაიწყეთ დავარცხნა, ნელ-ნელა გადადით ძირებისკენ. ამით თმას ცვენისაგან დაიცავთ.

ლამაზი და მოვლილი თმა

თმა არის ადამიანის ინდივიდუალურობის გამომხატველი ერთ-ერთი ნიშანი. ლამაზ და ჯანმრთელ თმას მოვლა სჭირდება. ეს კი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ არსებობს რამდენიმე მეთოდი, როგორ უნდა მოვუაროთ თმას სახლის პირობებში მინიმალური დანახარჯით.

№1. თუ გაქვთ სწორი თმა და გინდათ ტალღოვანი გახდეს, საღამოს დაბანის შემდეგ ერთი სუფრის კოვზი მარილი გახსენით ერთ ჭიქა წყალში და გადაივლეთ თმაზე და დაიძინეთ. დილით თითებით დაივარცხნეთ თმა.

№2. არ დაიბანოთ თავი ყოველდღე, რადგან იგი აშრობს, როგორც თმას, ასევე, თავის ქალას, რაც შემდეგში ქერტლს იწვევს. კვირაში 2-3 ჯერ თმის დაბანა საკმარისი იქნება.

№3. შეეცადეთ, ხშირად არ გაიშროთ თმა ფენით. ცხელი ჰაერის ხშირმა გამოყენებამ შეიძლება დაგიწვათ თმა და გაგიყოთ ბოლოები.

№4. ზეითუნის ზეთი არის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი თმის მოსავლელად. ზეითუნის ზეთის ნიღბის სახლის პირობებში მომზადების რამდენიმე მარტივი წესი არსებობს: 1) შეიზილეთ ზეითუნის ზეთი თავის კანზე გაიჩერეთ 20-25 წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

2) ორი კვერცხის გული ათქვიფეთ, შეურიეთ 4-5 (თმის სიგრძის მიხედვით) სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი. ნიღაბი გაიჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

3) 3 კოვზი ზეითუნის ზეთი შეურიეთ 3 კოვზ ლიმნის წვენს. შეიზილეთ თმის ძირებში და 2 წუთში ჩამოიბანეთ.

№5. რეკომენდებულია თვეში ორჯერ თმაზე მაიონეზის ნიღბის გაკეთება. მაიონეზი საუკეთესო ბალზამია, ასევე კვებავს თმას და მატებს ბზინვარებას.

№6. რაც შეეხება ხვეულ თმას, მისი მოვლა საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. ხვეული თმა თითქმის არ ბზინავს, გაყოფილია ბოლოები და მიდრეკილია სიმშრალისაკენ. ხვეული თმის დასამორჩილებლად გამოიყენეთ აბუსალათინის ზეთი. წაისვით მშრალ, დასაბან თმაზე და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს ნიღაბი კეთდება დღეგამოშვებით.

№7. ეს არის თაფლისა და ბანანის ნიღაბი. 2 ცალი ბანანი და 2 სუფრის კოვზი თაფლი აურიეთ. მას დაუმატეთ ერთი ჭიქა იოგურტი და შეიზილეთ თმაში. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და გადაივლეთ თმის ბალზამი. თაფლი აღადგენს თმას, ხოლო ბანანი კვებავს მას.

№8. ასევე ძალიან სასარგებლოა თაფლი და ლიმონი ერთად. 1 სუფრის კოვზი თაფლი და ერთი ლიმნის წვენი შეურიეთ ერთმანეთს. წაისვით მშრალ თმაზე და 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

№9. ერთი ჭიქა ლუდი და ერთი ჭიქა ჭინჭრის ნარევი გადაივლეთ დაბანილ თავზე. ძალიან სასარგებლოა ყველა ტიპის თმისათვის.

№10. ერთი კვერცხის გული გახსენით ლუდში და დაიბანეთ თავი ამ მასით. აღადგენს და გააჯანსაღებს თმას.

მიორმი ზაქარიაძე საქართველოს ჩემპიონია

წინასაახალწლოდ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა "სამბოში", რომელიც გახლდათ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი.

ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სამბისტები მონაწილეობდნენ, მათ შორის გახლდათ სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღზრდილი გიორგი ზაქარიაძე (მძიმე წონითი კატეგორია).

გიორგიმ ბრწყინვალედ იასპარეზა, ფინალურ ეტაპში სამგზის მსოფლიო ჩემპიონს სლავა რეზესიძეს სძლია და დაამარცხა 5:0. ბუნებრივია, გამარჯვება მას ხვდა წილად. მანვე მოიპოვა უფლება იასპარეზოს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, რომლებიც სავარაუდოდ თებერვალში გაიმართება.

"გიორგი წარმატებული სპორტსმენია, მან ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ბრწყინვალე შედეგისათვის მიეღწია და ჩინებულად იასპარეზა, ვულოცავ მას ამ წარმატებას" განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გიორგის პირადმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ავთანდილ თარგამაძემ, მანვე მადლობა გადაუხადა ბესარიონ შვანგირაძესა და ბადრი შენგელიას გიორგის წარმატებაში შეტანილი წვლილისათვის.

ვულოცავთ გიორგი ზაქარიაძეს, მის მწვრთნელებს შობა-ახალ წელს, დამსახურებულ წარმატებას.

ეს ერთი და სხვა მრავალი.

ლევან გაბეჩავა

ფეხბურთისა და ფეხბურთელებზე

ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა ბორის პაიჭაძემ საკავშირო ჩემპიონატებში ითამაშა 181 მატჩი. თასის გათამაშებაში 37 მატჩი (გაიტანა 22 გოლი) საერთაშორისო შეხვედრებში 7 მატჩი _ 5 გოლი.

ბორის პაიჭაძეს სულ ნათამაშები აქვს 225 მატჩი, გატანილი აქვს 125 გოლი.

***

ბორის პაიჭაძემ საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში მეტოქეთა კარებში გაიტანა 98 ბურთი, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძემ _ 127, გაიოზ ჯეჯელავამ _ 58, მალხაზ ბერძენიშვილმა _ 36 ბურთი.

***

ავთანდილ ღოღობერიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ითამაშა 343 მატჩი. თასის გათამაშებაში _ 29 მატჩი. (12 გოლი). საერთაშორისო შეხვედრებში 62 მატჩი, (21 გოლი). საბჭოთა კავშირის ნაკრებში 3 მატჩი (1 გოლი).

სულ ავთანდილ ღოღობერიძეს ნათამაშები აქვს 437 მატჩი, გატანილი 161 გოლით.

***

საკავშირო ასპარეზობაში თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი (''ტტუ'') პირველი იყო, ვინც ფიზკულტურული კოლექტივების თასის მფლობელი გახდა (1947 წელს).

***

ქართველი ფეხბურთელებიდან მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებში მონაწილეობდნენ: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი, მურთაზ სიჭინავა, ანზორ კავაზაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა.

***

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მიღებული აქვს მურთაზ ხურცილავას.

***

ფინეთის ქალაქ კოტკაში ბულგარეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ფეხბურთელთა ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

საბჭოთა ნაკრებში თამაშობდა ქართველი ფეხბურთელი ავთანდილ ღოღობერიძე.

ალეკსანდრა ლევან გაბეჩავა



კენკრათა "მეფე"

ვიტამინების შემადგენლობით ქაცვი კენკრათა შორის პირველ ადგილზეა. მაგალითად, ასკორბინის მჟავა მასში მეტია, ვიდრე ციტრუსებსა და შავ მოცხარში. ვიტამინები მისი თბური დამუშავების დროს არ იკარგება.

ახალ ნაყოფსა და წვენს ძლიერი ანთებსაწინააღმდეგო და ბაქტერიოციდული თვისებები აქვს, რაც ხელს უშლის კარიესის წარმოქმნას და ღრძილების დაავადებას. ქაცვის ზეთი ხსნის ეგზემისა და ფსორიაზის სიმპტომებს, მოყინვისა და დამწვრობის შემდეგ სწრაფად აღადგენს კანს.

ზეთი ასე მზადდება: გამოწურეთ წვენი, დარჩენილი რბილობი დააქუცმაცეთ, გააშრეთ და დაასხით ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთი. გაჩერეთ 3 კვირა ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ გაწურეთ და ზეთი შეინახეთ მაცივარში. სხვათა შორის, თუ ამ ზეთს დაამატებთ კანის კრემს და წაისვამთ, კანი გახდება ელასტიური, დაბანის შემდეგ თმაში თუ შეიზელთ, შეაჩერებთ თმის ცვენას, ქავილსა და სიმშრალეს.

თუ 1 ჩ/კ ქაცვის ზეთს მიიღებთ 3-ჯერ დღეში _ კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს გაიუმჯობესებთ მდგომარეობას. გაცივების, სურდოსა და გრიპისას ჩაიწვეთეთ ცხვირში.

ქაცვის ფოთლების ნახარშის კომპრესი შველის კუნთებისა და სახსრების ტკივილს, ხოლო ქერქი შეიცავს ბედნიერების ჰორმონს _ სეროტონინს და აწესრიგებს ნერვული სისტემის მუშაობას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.

მუშვიდად იყავი შენს მყუდრო კილში ფეიი გავიდა უკეთესობისაკენ

მოკრძალებული სალამი.

უმალ დაქვეითდებოდა ველოსიპედიდან და...

თუ არ ჩქარობთ, ცოტა ვისაუბროთო, მორიდებით, თითქმის თავდახრილი მეტყოდა. არადა, ვის ისურვებდი უკეთეს მოსაუბრედ.

ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებდა საქვეყნო საქმეს, შინაგანი მეს ძახილით, პოპულიზმის გარეშე.

დიდი წვლილი შეიტანა ჯემალ ტაბიძემ სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატთა მოძიების საქმეში.

ამაოდ არ დამშვრალა, საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ მისეული ლამაზი სტრიქონები, მადლიანი ფუნჯით შექმნილი სურათები.

სხვებზე მეტად იცოდა მეგობრობის, მოყვასის, ქართველობის, სამტრედიელობის ფასი.

მასზეა ნათქვამი ცოტა იცოცხლა და ბევრი იცხოვრაო.

ამიტომ გვიყვარს, ამიტომ გვაკლია, ამიტომ ვერ ვივიწყებთ ჩვენს უფროს, მოკრძალებულ მეგობარს.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

ია ფანცულაია-ჭკადუას გახსენება

ძნელია გაიხსენო უსაყვარლესი ადამიანი _ დედა, რომელიც მთელი სიცოცხლე ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების სიხარულით ხარობდა, განიცდიდა მათ ტკივილს. დღე არ გავა ისე, რომ არ მოგიგონოთ ჩვენო ძვირფასო დედა. უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე, ცრემლითა და ყვავილებით მოგილოცავთ, ნათელი არ მოჰკლებოდეს შენს წმინდა საფლავს, შენს სპეტაკ სულს.

შვილები ოჯახებით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაუგრძნობს ნუგზარ ჯამბურიას

სიმამრის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ნუგზარ ჯამბურიას

სიმამრის

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ივანაშვილების ოჯახს, ბატონი

სევერიანეს

გარდაცვალების გამო.

ააიპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება თანაუგრძნობს ქეთევან ივანაშვილს მამის

სევერიანე ივანაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ნუგზარ ჯამბურიას

ღეიდას

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა, ვენერა კაჭახიძე, მურად გელეიშვილი, შუქრი ურუშაძე თანაუგრძნობენ ვახტანგ მანჯგალაძეს

შვილის

გარდაცვალების გამო

რა აქვს ძველით ახალი წელი

ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, 13 იანვრის ღამეს (14 იანვარს) არაოფიციალურად აღინიშნება ძველით ახალი წელი, დღესასწაული, რომელიც გამოწვეულია ქრონოლოგიის ცვლილებით. ძველით ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია დაკავშირებულია ორ კალენდარულ სისტემას შორის განსხვავებასთან. ერთია იულიუსის "ძველი სტილის" კალენდარი, მეორე კი გრიგორიანული "ახალი სტილის", _ რომლითაც ცხოვრობენ თანამედროვე ადამიანები.

ამ განსხვავებამ XX - XXIსაუკუნისათვის შეადგინა 13 დღე-ღამე, ამიტომაც იმ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია კვლავ იულიუსის კალენდრით სარგებლობს, ახალი წელი ძველი სტილით აღინიშნება 13-დან 14 იანვრის ღამეს. პრაქტიკულად ყველა ევროპული სახელმწიფო გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

რუსეთში ცვლილება მოხდა 1918 წლიდან. ვინაიდან თანამედროვე ახალი წელი ემთხვევა მარხვის პერიოდს, იმ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია იყენებს იულიუსის კალენდარს, მორწმუნე ადამიანებს ძველით ახალი წელი აძლევს საშუალებას იზეიმონ ახალი წლის დადგომა მაშინ როცა მარხვა უკვე დასრულებულია.

ნახატი იაკობ ჩხიკვაძისა

ძველით ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია შემონახულია ბელორუსიასა და უკრაინაში, სადაც 14 იანვრის წინა საღამოს "უხვს" უწოდებენ. ამიტომ მიღებულია მარხვის შემდეგ მდიდრული სუფრის გაშლა. ამ თარიღს ასევე ზეიმობენ ყოფილ იუგოსლავიაში (სერბია, ჩერნოგორია, მაკედონია). სერბები მას "სერბულ ახალ წელს" უწოდებენ. ჩერნოგორიაში კი ძველით ახალ წელს "ნამდვილ ახალ წელს" ეძახიან.

ამ დღეს ხვდებიან ახალ წელს საბერძნეთშიც და მას წმინდა ვასილის დღეს უწოდებენ. რუმინეთში ამ თარიღისათვის აცხობენ ღვეზლებს სიურპრიზებით: მონეტებით, ფაიფურის ფიგურებით, ბეჭდებით.

შვეიცარიის ზოგიერთ გერმანულენოვან კანტონში 13 იანვრის საღამოდან იწყებენ საზეიმო სვლას ქუჩებში და წმინდა სილვესტერის დღის აღნიშვნას. ამას გარდა ახალ წელს ძველი სტილით აღნიშნავენ უელსში. 2100 წლის 1 მარტიდან იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდრებს შორის განსხვავება გახდება 14 დღე-ღამე. 2101 წლიდან ძველით ახალი წლის აღნიშვნა მოხდება ერთი დღით გვიან.

მომზადებულია www.ria.ru-ს მიხედვით

"სამტრედიის მაცნეს" ლამაზ კოლექტივს დაგვიანებით ვულოცავ იუბილეს და ახალ წელს

2017

ჩემო ქვეყანავ, მრავლისმომსწრევ, მრავლის მნახველო,
მრავალტანჯულო ერო ჩემო, ერო ქართველო,
ლაზო, გურულო, სვანო, ჰერო, ჭანო, კახელო,
ამერ-იმერო, აჭარელო, მესხო, ქართლელო.
მიწის მარილო, ვაზის ცრემლო, ცვილის სანთელო,
ნიჭო, ტალანტო, ჟინო, გზნებავ, აკვნის გამთლელო,
მიწავ ზურმუხტო, ზღვავ ლაჟვარდო, ზეცავ ნათელო,
ქედუდრეკელო, გოლგოთათა რწმენით დამთმენო.
ხატის პერანგო, ოპიზართა ოქროჭედილო,
ხმალო, ხევსურთა ნაწრთობო და გამობრძმედილო,
შოთას გენიავ, სიბრძნის ზღვაო, დაუშრეტელო,
ლექსო დღემუდამ სათქმელო და დაულეველო.
მომავლის რწმენით მოსულდგმულევ, იმედო კაცთა,
შენი სიმღერა, მადლიანი, სამყაროს გასცდა,
სიამით გავსებს სიამაყის და შვების განცდა,
ზეობს ვარძია, ალავერდი, იყალთო, ხანძთა.
და მოგილოცო მინდა ერთიც ახალი წელი
მარად გიცავდეს და გფარავდეს ღვთიური ხელი,
მშვიდობა, წინსვლა, ძეობები, სუფრები გრძელი,
ბედის ვარსკვლავის გაბრწყინება, ასე რომ ელი.

მრავალჟამიერ

ერს, გამობრძმედილს მრავალ ჟამ მიერ,
თავმდაბალს, მშრომელს, არა კადნიერს,
მებრძოლს, მშენებელს, უფლის მადლიერს,
სტუმართმოყვარეს, სუფრახვავრიელს,
მთიდან მთებამდე ლაღ თვალსაწიერს,
ლოცვას აღვლენილს იმერ-ამიერ,
ღვთის სიტყვას, ღვთის ხმას, ღვთისავ ნაშიერს,
ქართულ ცეკვას და "მრავალჟამიერს"
მრავალჟამიერ.

აკაკი რუხაძე

ვულოცავთ!



ნინო ნანიტაშვილს!

ბედნიერება, სიხარული, კეთილდღეობა და ათიათასი წარმატება მოეტანოს შენთვის ახალ წელს. გაიხარე და გამრავლდი. ძველით ახალ წელს დაბადებულს საუკეთესო სიახლეები დაგებედოს.

"სამტრედიის მაცნე"

ეთერ ქუთათელაძეს!

მე-3 საშუალო სკოლის ყოფილ პედაგოგს, საპატიო სამტრედიელ ქალბატონს, ღირსეულ მეუღლეს, დედას, ბებიას, მრავალი თაობის გამზრდელს, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ვულოცავთ 90 წლის შესრულებას, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ოჯახური ბედნიერება არ მოაკლოს უფალმა.

შვილები მედეა და ქეთევან პაპავები, სიძეები თამაზ დუნდუა და ჯონი ჯოდუა, შვილიშვილები და შვილთაშვილები



ანასტასია ჟიჟიგურს!

ჩემო თვალხატულა, ლამაზო, თბილო და ტკბილო ფერიავ, დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს! ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, ბედნიერი ბავშვობა და ნათელი მომავალი დაგებედოს.

ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

შენი ეკანო



ირმა ბექაიას!

გილოცავ ირმა! მიყვარხარ და მეიმედება. მინდა დიდხანს მყავდე! ბედნიერება და ჯანმრთელობა დაგებედოს.

თეა ბაბუნაშვილი

ტატო ჩაბრაძეს!

3 იანვარს ორი წელი შეგისრულდა ჩემო პაწაწუნა ტატო, ვერცხლისწყალივით მოუსვენარო, უკვე ქართულ-ფრანგულ ენაზე მოსაუბრე, ენატიკტიკავ.

დაბადების დღეს გილოცავ ძვირფასო! ჩიტივით გეჭიკჭიკოს, ქარივით გენავარდოს, მზე და სინათლე არ გამოგლეოდეს გულსა და თვალებში, სამშობლოს სამსახურად მგლის მუხლი დაგყოლოდეს, თავმდაბალი და სამართლიანი, ღვთისმოშიში და ადამიანთა სადარდელ-გასახარელის გულთან მიმტანი, უფროს-უმცროსის მცნობი და პატივისმცემელი, ცოდნის მაძიებელი, სხვათა ნიჭისა და გულის დამფასებელი, მაგრამ საკუთარ ღირსებათა მცოდნე და გამომყენებელი გაზრდილიყავი. ხომ გესმის რამდენს გთხოვ ბებიკო, საყვარელო, ჩემო მზეგულავ, იუბილეს გილოცავ. გაიზარდე ჯანმრთელი, სასახელო ვაჟკაცი დედიკოს, მამიკოს, ბებოებისა და ბაბუს გულების გასახარად.

შენი გულიკო ბებო

ჩვენმა ლამაზმა დედამიწამ იტრიალა, იტრიალა, თოვლით დაფარული მინდვრები, ტყე და მთა-გორები შემოგვატარა და 2017 წელიც ჩამოაგორა პატარა ტატოსთან ერთად.

მზე ამობრწყინდა და გაათბო ადამიანთა გულები, ნამდვილი ზამთარი მოგვილოცა. ჩაეცინა თავისთვის და ჩუმად ჩაიჩურჩულა _ მე ვიცი და ზამთარმაო და პატარა ტატო თოვლის პაპასთან ერთად მეკვლედ შემოიყვანა, რომელმაც კიდევ უფრო მეტად გაგვითბო გული.

ტატო დაიბადა ახალ წელთან ერთად, ყველას მოგვილოცა შობა-ახალი წელი, გვისურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიყვარული და ულევი სიხარული.

... ჩვენ კი, გულიკო ბებოს მეგობრები, ტატოს ვულოცავთ დაბადების დღეს! გაზრდილიყოს ვაჟკაცი, მამასავით ნიჭიერი და მოსიყვარულე.

ფოთილა ბებო (ჩიქობავა)

დაბადების დღეს ვულოცავთ მამა-შვილს, ბაჩანა და ტატო ჩაბრაძეებს, თბილ მოკითხვას ვუთვლით მშობლიური სამტრედიიდან. ბატონო ბაჩანა, საფრანგეთის ცის ქვეშ თქვენ ქართულ საქმეს ღირსეულად ემსახურებით, გულით დაატარებთ თქვენს წილ საქართველოს, გვჯერა, პატარა ტატო მამის კვალზე ღირსეულად ივლის, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ბევრ წარმატებას!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა